

სადაზღვევო ბაზრის განვითარების ისტორია

გიორგი მაისაშვილი

სტუ დოქტორანტი

რ ე ზ ი უ მ ე

სტატიაში განხილულია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ისტორია ანტიკური დროიდან დღემდე. ავტორი განიხილავს იმ ძირითად მიზეზებსა და პირობებს, რომელთაც განაპირობებს სადაზღვევო საქმის განვითარება.

გარდა ამისა, სტატიაში გადმოცემულია ქართული სადაზღვევო ბაზრის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები, მისი დღევანდელი სტრუქტურა, თავისებურებები და განვითარების მომავალი პერსპექტივები.

ავტორს დეტალურად აქვს გაანალიზებული ქართული სადაზღვევო ბაზარი მისი სექტორების, დონეებისა და დარგების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, სადაზღვევო ბაზარი, კონკურენცია, ინოვაციური იდეები

შესავალი

ამჟამად საქართველოს ბაზარზე არსებობს ქართული სადაზღვევო კომპანიები (ზოგიერთში უცხოურ კომპანიას აქვს აქციები), საინტერესოა უცხოური კომპანიების საქართველოს ბაზარზე შემოსვლა, რაც, თავის მხრივ, მაგალითს უჩვენებს ქართულ სადაზღვევო კომპანიებს და გამოაფხიზლებს, რათა მათ იფიქრონ და შესთავაზონ ხალხს მრავალფეროვანი სერვისი.

სადაზღვევო საქმის განვითარების ისტორია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, ქარავანებით მოგზაური ბედუინები დებდნენ გარიგებებს, რათა ერთობლივად დაეფარათ ქურდობით ან სხვა რისკით გამოწვეული ზარალი. დაზღვევის ცალკეული ელემენტები ჯერ კიდევ ჰამურაბის პერიოდში შეინიშნებოდა. ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. IV ათასწლეული) შეიქმნა

ქვისმთელელთა ურთიერთდახმარების ფონდები. ძველ რომში სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებში, ე.წ. კოლეგიებში საკმაოდ გავრცელებული იყო ურთიერთდაზღვევა.

XV ს-ის ბოლოს, ევროპელების მიერ აზიასა და ამერიკაში დიდი საზღვაო მოგზაურობების დაწყების ხანაში, რამაც საფუძველი დაუდო «სავაჭრო რევოლუციის», ხოლო მოგვიანებით «სამრეწველო რევოლუციის» განვითარებას, შეიქმნა ქონებისა და გადაზიდვების დაზღვევა.

1601 წელს, ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ I-მა მიიღო პირველი პარლამენტის აქტი, რომელიც არეგულირებდა დაზღვევის მექანიზმებს. 1688 წელს ედვარდ ლლოიდმა ლონდონში გახსნა ყავახანა, სადაც პროფესიული პრობლემების განსახილველად რეგულარულად იკრიბებოდნენ დამზღვევები, გემების მფლობელები, ვაჭრები. ყავახანა მალე გადაიქცა სადაზღვევო ბაზრის პროტოტიპად, ხოლო მისი მფლობელი ედვარდ ლლოიდი – სადაზღვევო კომპანიების ფუძემდებლად.

უკვე მე-17 საუკუნეში სადაზღვევო ინდუსტრიაში გაჩნდა დაზღვევის უძველესი სახეობა, საზღვაო რისკების დაზღვევა. ვაჭარი სესხით ყიდულობდა საქონელს და ტრანსპორტირების შემდეგ იხდიდა ვალდებულებას პროცენტთან ერთად. თუ საქონელი გზაში დაიკარგებოდა ან დაზიანდებოდა, მაშინ ვაჭარი ვალდებულებებისგან განთავისუფლდებოდა.

ინდუსტრიალიზაციის ზრდის შედეგად გაჩნდა მსხვილი საწარმოები, დაქირავებული მუშები ერთიანდებოდნენ ამხანაგობებად, ე.წ. გილდიებად, რომელთა წევრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ავადმყოფობის, ან გარდაცვალების შემთხვევაში. ასე ჩამოყალიბდა მენარმეთა სადაზღვევო სალაროები, რომლებიც მოგვიანებით ე. წ. საავადმყოფოთა სალაროების წინამორბედი გახდა. საწარმოში დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მეპატრონე ხელშეკრულებით იწვევდა ექიმს, რომლის ანაზღაურებას უზრუნველყოფდა საავადმყოფოს სალაროები.

გერმანიის კანცლერმა ოტო ფონ ბისმარკმა 1871 წელს საკანონმდებლო აქტით დააკანონა ჯანმრთელობის დაზღვევის

ერთ-ერთი ფორმა – ავადმყოფობისაგან მუშათა სავალდებულო დაზღვევა.

1885 წელს გერმანიაში შემოღებულ იქნა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესახებ სახელმწიფო კანონი, რასაც მოყვა კანონი უბედური შემთხვევების დროს სამედიცინო დაზღვევის შესახებ, კანონი ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამედიცინო დაზღვევის შესახებ და უმუშევართა დაზღვევის შესახებ.

ქართული სადაზღვევო ბაზარი. საქართველოში დაზღვევა არც თუ ახალი დარგია. სადაზღვევო კომპანიები 19 საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა, რაც შემდეგ ჩანაცვლებულ იქნა გოსსტრახის სისტემის მიერ. საქართველო არ აღმოჩნდა მზად სადაზღვევო სისტემისათვის, აღნიშნული სისტემა ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და ვერ დამკვიდრდა იმდროინდელ საქართველოში.

პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველი კერძო სადაზღვევო კომპანია იყო ალდაგი, რომელიც დაარსდა 1990 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 1997 წლამდე არ ასრებობდა საკანონმდებლო ბაზა დაზღვევის რეგულაციისათვის, რატომაც საკმაოდ მარტივი იყო სადაზღვევო კომპანიის დარეგისტრირება და აღნიშნულ სფეროში საქმიანობა. 1997 წელს მოხდა სამოქალაქო კოდექსის მიერ დაზღვევის სხვადასხვა მუხლებისა და დებულებების გამართვა, რამაც სადაზღვევო კომპანიები გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა დაადგინა ლიცენზირების წესები და სანესდებო კაპიტალი. მინიმალური თანხის ოდენობა 30 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე გაიზარდა. რის შემდეგაც შემცირდა ლიცენზიის მქონე სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა. 1998 წლამდე სადაზღვევო ბაზარზე მოღვაწეობდა 32 კომპანია, ამჟამად – კი 13 კომპანია.

სადაზღვევო ბაზარი სწრაფად ვითარდება, დღითიდღე იზრდება ინტერესი დაზღვევისადმი, შესაბამისად იზრდება კომპანიების მიერ შემოთავაზებული პროდუქტების რიცხვიც.

საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა უკვე გაიცნო და გაიაზრა დაზღვევის არსი და მნიშვნელობა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას დაეზღვიოს თუ არა, მაინც არ ჩქარობს.

აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ ჟურნალ «Business Georgia Today»-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანიების მიერ გაყიდული პროდუქტების რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდი მოთხოვნა შეიმჩნევა ჯანმრთელობის დაზღვევაზე.

კვლევის შედეგების თანახმად, სადაზღვევო კომპანიების აქტიურობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ეერ მოხერხდა მოსახლეობის სათანადოდ დაინტერესება. უმრავლეს შემთხვევებში ოჯახებში ჯერ კიდევ მხოლოდ ერთი დაზღვეული პირია. ბაზრის წილი სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით დაზღვევის ბაზარზე ყველაზე დიდი წილი უკავია ჯანმრთელობის დაზღვევას- 46.1%.

ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნისათვის. ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის არ არსებობის შემთხვევაში მოსალოდნელია ჯიბიდან გადახდების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც საგრძნობლად აზარალებს ქვეყნის მოსახლეობის როგორც ეკონომიკურ მდგომარეობას, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობას.

კერძო ჯანმრთელობის დაზღვევას, ისევე როგორც დაზღვევის ნებისმიერი სხვა პროდუქტის განვითარებას სჭირდება სწორი სტრატეგიული დაგეგმვა და გათვლა. აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების და რეკომენდაციების გაზიარება. კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა უნდა ვითარდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე სოციალური დაზღვევის უპირატესობის მხრივ.

ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი არის მზარდი, რაც სადაზღვევო კომპანიებს საშუალებას აძლევს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაყიდოს სადაზღვევო პროდუქტი. თუმცა რამოდენიმე წლის შემდეგ ბაზარი აღარ იქნება ასეთი მზარდი, ან საქართველოს ბაზარზე უცხოური სადაზღვევო კომპანი-

ების შემოსვლის შემდეგ ქართულ სადაზღვევო კომპანიებს მოუწევს მუდმივად იფიქროს მომხმარებელზე და ინოვაციურ იდეებზე.

დასკვნა

საზოგადოების უმეტესობა აღიარებს, რომ გარშემო უამრავი რისკი არსებობს, რომელიც უსათუოდ საჭიროებს მართვას, თუმცა რისკებისაგან თავის დაცვას ქართველი საზოგადოება მაინც საკუთარი ძალებით ცდილობს. ქართული საზოგადოება ნელ-ნელა ეჩვევა თანამედროვე მსოფლიოში რისკების სამართავად ყველაზე ეფექტურ საშუალებას — დაზღვევას. ბაზრის განვითარებასთან ერთად სადაზღვევო კომპანიებს შორის უკვე კონკურენცია იგრძნობა, რაც კარგია, რადგან მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მის ლოიალურობას უზრუნველყოფს. სადაზღვევო კომპანიები ყოველწლიურად უფრო მრავალფეროვანი ხდება. ისინი მომხმარებელს ძირითადად სთავაზობენ: სიცოცხლის დაზღვევას, ჯანმრთელობის დაზღვევას, ქონების დაზღვევას, ავტომანქანების დაზღვევას, პასუხისმგებლობის დაზღვევას, ტვირთების დაზღვევას, ფინანსური რისკების დაზღვევასა და საპენსიო დაზღვევას.

ლიტერატურა:

1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2008.
2. გოგოლაშვილი გ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2010.
3. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფო რეგულირება, თბილისი, 2000.
4. <http://www.gpih.ge/geo/home/index.php>
5. <http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/>
6. <http://etibeglarashvili.blogspot.com/2015/04/2001-8.html>
7. <http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html>

REFERENCES:

1. J. Shatirishvili., Kakashvili N., Insurance, Tbilisi, 2008.
2. G. Gogolashvili., Insurance, Tbilisi, 2010.
3. Georgian Insurance Market and State regulation, Tbilisi 2000.
4. <http://www.gpih.ge/geo/home/index.php>
5. <http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/>
6. <http://etibeglarashvili.blogspot.com/2015/04/2001-8.html>
7. <http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html>

html

THE HISTORY OF THE DEVELOPMENT OF THE INSURANCE MARKET

George MaisasGhvili,

The Doctoral Student of Georgian
Technical University

RESUME

This paper discusses the development of the insurance market in the history of ancient times to the present. The author discusses the major causes and conditions that led to the development of the insurance.

In addition, the article set out in the Georgian insurance market development in the major historical milestones in its present structure, the characteristics and development prospects.

The author has analyzed in detail the Georgian insurance market sectors, levels and sectors.

Keywords: Insurance, Insurance market, Competitiveness, Innovation ideas.